ა(ა)იპ ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის მიერ

2026 წელში

გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

ა(ა)იპ ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი მისი უფლება მოსილების ფარგლებში მიზნად ისახავს საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვას, გაუმჯობესებას და დაავადებათა პრევენციას. საზოგადოებრივ ჯანდაცვის ცენტრის ძირითადი ფუნქციები მოიცავს: პოლიკლინიკის, ანტირაბიული კაბინეტის, პირველადი საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრების მონიტორინგს - ეპიდ. ზედამხედველობს კუთხით. ს.ჯ.ც მიერ ხდება დაავადების შეტყობინების მიღება, დარეგისტრირება, კერების გამოკვლევა, ინფექციის წყაროს გამოვლენა, კონტაქტების დადგენა, აღრიცხვა და საჭირო რეკომენდაციების მიწოდება.

საანგარიშო პერიოდში სჯც-ს დაავადებათა სარეგისტრაციო ფორმა # 60/ბ-ში აღრიცხულია:

1.ტუბერკულოზის 11 საეჭვო შეტყობინება, აქედან 1 დადებითი. კონტაქტები გამოკვეთილი იყო ოჯახის 5 წევრზე.

2. Q ცხელება 1 შემთხვევა. უკუგდებული.

3. 0-5 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობა 1 შემთხვევა.

4. ლეპტოსპიროზი 3 სავარაუდო შემთხვევა;

5. ნოზოკომური ინფექცია 2 შემთხვევა;

ცხოველთა მიერ დაკბენის, დაკაწვრის, დადორბვლის გვქონდა 76 შემთხვევა, ყველა დაკბენილზე გაგზავნილია შეტყობინება შესაბამის სამსახურში (ვეტ სამსახური) დამკბენ ცხოველზე ზედამხედველობის დამთავრებამდე დაკბენილებს უტარდებათ ანტირაბიული აცრები ინსტრუქციის შესაბამისად. დაწესებულებაში ანტირაბიული ვაქცინის მარაგზე შეფერხება არ გვქონია, შესაბამისად არც რეგიონულ ჯანდაცვის ცენტრში(დაბა ხარაგაულის საავადმყოფო) არ ყოფილა ვაქცინის დეფიციტი.

ხარაგაულის სჯც -ს მიერ სანიტარულ-ჰიგიენური ზედამხედველობა, მონიტორინგის სახით, მიმდინარეობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ზოგად საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებებში. მონიტორინგი განხორციელდა სოფ. ბაზალეთის, საღანძილის, ლეღვნის, კიცხის, ვარძიის, ხიდრის, მარელისის, ვახანის, ბორითის, უბისის, წყალაფორეთის, საჯარო სკოლებსა და საბავშვო ბაღებში.

--წარმატებით და შეუფერხებლად მიმდინარეობს C ჰეპატიტისა და შიდსის სახელმწიფო პროგრამის ფუნქციონირება. მოგეხსენებათ ეს პროგრამა ძალიან მნიშვნელოვანია დადებითი შეთხვევების დროულად გამოვლენისათვის. აქტიურად ხდება ც ჰეპატიტზე დადებითი შემთხვევების მიდევნება-დაკვირვება. ყველა სკრინინგ დადებითი პიროვნება მოძიებულია და სისტემატიურად ვახდენთ კომუნიკაციას, რათა დროულად მოხდეს ყველა ბენეფიციარის კონფირმაციული კვლევა და საჭიროების შემთხვევაში უფასო სახელმწიფო პროგრამაში ჩართვა.

-მიმდინარე წელს მიღებული გვაქვს ც ჰეპატიტის 900 სწრაფი მარტივი ტესტი, ტესტ სისტემებით და შესაბამისი სახარჯი მასალებით. საექიმო უბნებისათვის ტესტების მიწოდებას უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი. დღეის მდგომარეობით საექიმო უბნებისათვის მიწოდებულია 500 ტესტი. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ყველა საექიმო უბანი ჩართულია ც ჰეპატიტის სახელმწიფო პროგრამაში, ყველა ამბულატორიაშია ხელმისაწვდომია სწრაფი მარტივი ტესტის გაკეთება ც ჰეპატიტის ანტისხეულების დასადგენად. მიმდინარე 6 თვეში სამედიცინო დაწესებულებებში, გაკეთდა 365 ც ჰეპატიტის სწრაფი ტესტი. ჯანდაცვის ცენტრის თანამშრომლების მიერ, ბინაზე მომსახურებით ტესტები გაკეთდა როგორც ც ჰეპატიტზე ასევე აივ-ინფექციაზე დაბაში მცხოვრებ, სხვადასხვა სეგმენტ ჯგუფებში: ქრონიკული დაავადებისა და სხვადასხვა ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირებზე.

--მიმდინარე წლის 6 მაისს ლ.საყვარელიძის სახელობის, დაავადებათა ეროვნული ცენტრის, სამედიცინო ჰოლდინგის, ხარაგაულის მერიისა და საკრებულოს შესაბამისი სამსახურების ჩართულობით, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განხორციელდა უფასო სკრინინგ აქცია, რომელიც ჩატარდა საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ეზოში განთავსებულ სპეციალური სამედიცინო აპარატურით აღჭურვილ სატრანსპორტო საშუალებებში. სამედიცინო მომსახურება მოიცავდა შემდეგ კომპონენტებს: ძუძუს კიბოს სკრინინგს, საშვილოსნოს ყელის სკრინინგს, პროსტატის სკრინინგს, არტერიული წნევის სკრინინგს. ც - ბ ჰეპატიტებისა და შიდსის სწრაფი ტესტირებას.

გასინჯვის შედეგები ასეთია:

1. ძუძუს კიბოს სკრინინგი (მამოგრაფია) - 120; მათ შორის ექოსკოპია 17;
2. საშვილოსნოს ყელის სკრინინგი - 46;
3. პროსტატის სკრინინგი - 20;
4. ც, ბ ჰეპატიტის, შიდსის სწრაფი ტესტირება - 123

5. სისხლში გლუკოზის განსაზღვრა -49;
6. არტერიული წნევის სკრინინგი 72.

-სამედიცინო აქციის ჩატარებით ჯამში, მომსახურება გაეწია 200 -მდე ადამიანს.

- 19 ივნისს მსგავსი ტიპის სამედიცინო აქცია ჩავატარეთ სოფელ ვერტყვიჭალის საჯარო სკოლაში, აქცია მიზნად ისახავდა ე.წ პერევლის ტერიტორიაზე მცხოვრებ ბენეფიციარებისთვის სამედიცინო სერვისების ხელმისაწვდომობას. სოფლის მოსახლეობას დამატებით შევთავაზეთ ანგიოლოგის, კარდიოლოგის, რევმატოლოგის და თერაპევტის კონსულტაციები.

აღნიშნულ აქტივობაში მონაწილეობა მიიღო 130-მდე ადამიანმა.

-19 ივნისს პარალელურად სოფელ ლეღვანში, ამბულატორიის შენობაში ჩავატარეთ, ქალაქ ქუთაისიდან მოწვეული კვალიფიციური ოფთალმოლოგების მიერ, სამედიცინო აქცია მხედველობის პრობლემების მქონე პირებისათვის. ჯამში გაისინჯა 45 ადამიანი.

სჯც-ს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა იმუნიზაცია. სახელმწიფო უზრუნველყოფს 13 მართვადი ინფექციური დაავადების საწინააღმდეგო ვაქცინაციას. სამსახურის მოვალეობაა მუნიციპალიტეტის მასშტაბით ასაცრელი კონტიგენტის აღრიცხვა. ვაქცინაციის დაწყებამდე ხდება წინასწარი გეგმის შემუშავება, წინა წლის მოცვის მაჩვენებლის მიხედვით.

პროფილაქტიკური აცრები, ხელს უწყობს, იმუნიტეტის (თავდაცვის უნარის) ჩამოყალიბებას კონკრეტული დაავადების მიმართ.

2026 წლის I-II კვარტლის განმავლობაში ხარაგაულის მუნიციპალიტეტში პროფილაქტიკური აცრებით სამიზნე კონტიგენტის მოცვის მაჩვენებელი წარმოდგენილია ცხრილის სახით:

	ვაქცინის დასახელება	გეგმა	შესრულება	%
1	ჰექსაქსიმი დყტ +ჰიბ+ ჰეპ ბ+იპვ	65	28	43
2	ტეტრაქსიმი 18-24 თვის ასაკის ბავშვები	59	30	51
3	ტეტრაქსიმი 5 წლის ასაკის ბავშვები	67	39	58
4	პნევმოკოკის ვაქცინა 1	65	23	35
5	პნევმოკოკის ვაქცინა 2	65	28	43
6	ა.პ.ვ (1) - 10-11-12 წელი	141	42	30
7	ა.პ.ვ. (2) – 10-11-12 წელი	141	39	28

8	წითელა, წითურა, ყბაყურა 1 წელზე	65	27	42
9	წითელა, წითურა. ყბაყურა 5 წელზე	67	39	58
10	ტეტანუსი, დიფტერია 14 წელზე	132	60	46
11	როტა ვაქცინა 1	65	18	28
12	როტა ვაქცინა 2	65	19	29
13	პნევმოკოკის ვაქცინა 3	65	26	40

ხარაგაულის სჯც აღჭურვილია, თანამედროვე ტიპის, ვაქცინების შემნახველი მაცივრებით. დაწესებულებაში მაცივრები მუშაობს გამართულად და შეუფერხებლად, ყოველდღიურად, დღეში ორჯერ ხდება ტემპერატურის აღრიცხვა სპეციალურ N 2.7 ფორმაში. ასევე ყოველი თვის ბოლოს ხდება ციფრული თერმომეტრებიდან - ელექტრონული ჩამწერიდან მონაცემების ამობეჭდვა და შენახვა. საჭიროების შემთხვევაში მისი ტემპერატურული რეჟიმების გაშიფვრა დამუშავება.

ვაქცინების ტრანპორტირდება ჯანდაცვის ცენტრში ხდება დაავადებათა კონტროლის, იმერეთის სამმართველოდან.

სისტემატიურად ვატარებთ მუნიციპალიტეტის მაშტაბით სამედიცინო დაწესებულებების მონიტორინგს.

ამბულატორიებში ვიზიტის დროს მოწმდება, ვაქცინის ვადები, სკრინინგული სერვისებით უზრუნველყოფის წესის შესრულება N-063 ბრძანების საფუძველზე. მოწმდება მაცივრების მდგომარეობა, ტემპერატურული რეჟიმის აღრიცხვა 1.7 ფორმაში. ივსება შესაბამისი აქტები და საჭიროების შემთხვევაში ხდება რეკომენდაციების მიწოდება. მაცივრები უმეტეს უბნებზე განახლებულია და აქვთ ასევე ციფრული ელექტროთერმომეტრები, ტემპერატურის ელექტრონული ჩამწერები.

ს.ჯ.ც. ყოველთვიურად ამოწმებს, დაბაში მდებარა ამცრელ დაწესებულებას, სადაც მოწმდება ასაცრელი მასალის შენახვის პირობები, ანტიშოკური პრეპარატების მარაგი და

ვადები, ამცრელი კაბინეტის მდგომარეობა, ასევე სამედიცინო დოკუმენტაცია, ყოველთვიური ანგარიშის ფორმები და სხვა.

წარმატებით დავასრულეთ სეზონური გრიპის ვაქცინაციის პროცესი. მივიღეთ 2300 დოზა 4 კომპონენტიანი ვაქცინა, რომელიც გადაეცათ სამედიცინო დაწესებულებებს. ვაქცინირებული გვყავს 2224 ადამიანი. ნაშთის სახით დარჩენილია დაახლოებით 76 დოზა.რაც ნიშნავს რომ გასულ წელთან შედარებით უფრო მეტი ვაქცინირებული გვყავს მუნიციპალიტეტში.

სამსახურის მიერ მოხდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალსატევების აღრიცხვა,პასპორტიზაცია,რომელიც გადაგზავნილია დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში.ტბის რაოდენობაა (9):ნუნისი,წყალაფორეთი,საქარიქედი,ლევანი,ვახანი(5)

ჯანსაღი წესის დამკვიდრების მიზნით მოსახლეობას მიეწოდა ინფორმაცი, სამსახურის სოციალური, ფეისბუქ გვერდის საშუალებით. სხვადასხვა აქტუალურ თემებზე შემდეგი სტატიებით:

4.თებერვალი - კიბოსთან ბრძოლის საერთაშორისო დღე!
20. მარტი-პირის ღრუს ჯანმრთელობის მსოფლიო დღე!
7. აპრილი - ჯანმრთელობის მსოფლიო დღე!
21. მარტი-დაუნის სინდრომის მსოფლიო დღე!
28. ივლისი-ჰეპატიტების მსოფლიო დღე.

დაბა ხარაგაულის ტერიტორიაზე არსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების დაწესებულებებში (სალონებში), ყოველ კვარტალში, რამოდენიმეჯერ ხორციელდება მონიტორინგი ინფექციების პრევენციის და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების კონტროლის შესახებ, მთავრობის დადგენილება N473 შესაბამისად.

ს.ჯ.ც -მა მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს დახმარებით დაორგანიზა სისხლის დონაციები ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სხვადასხვა ლოკაციებზე.

დაორგანიზა ასევე უფასო სკრინინგ პროგრამებით მოსარგებლი,ასაკობრივი ჯგუფების,ქალბატონებისა და მამაკაცების კლინიკებში ვზიტები, მათი ტრანსპორტირება, რომელიც ხდება ქ.ქუთაისში.

ს.ჯ.ც. აქტიურად არის ჩართული საზაფხულო ბანაკში მონაწილე ბავშვების საკვები პროდუქტების შემოწმებისა და ბანაკის ტერიტორიაზე სანიტარულ ჰიგიენური მდგომარეობის შესწავლის კუთხით, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების შესახებ უტარდებათ საინფორმაციო ტიპის შეხვედრები, ვიდეო რგოლების ჩვენება და სემინარები. არა ალკოჰოლს, არა ნარკოტიკს, არა თამბაქოს.

ს.ჯ.ც-რი სამომავლოდ გააგრძელებს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში მსგავსი ტიპის ღონისძიებების დაგეგმვასა და მათ განხორციელებას.